მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელებისთვის ფინანსური დახმარების გაწევასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაციის მიწოდების შესახებ

ქ. თბილისი 7 ივნისი 2017 წ.

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (**შემდგომში - „სააგენტო“**), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის - **კობა სონღულაშვილის** სახით და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (**შემდგომში - „სამინისტრო“**), წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის, **შალვა გოგოლაძის** სახით, შემდგომში, ერთობლივად, მხარეებად წოდებულნი,

ვხელმძღვანელობთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის, „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, „ქვეყანაში სიღატაკის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოციალური დაცვის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“, „დ“ და „თ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, დებენ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის საგანი

1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია „სამინისტროს“ მიერ მაღალმთიან დასახლებებში, სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელ(ებ)ისთვის (შემდგომში - „მწვრთნელ(ებ)ისთვის“) ფინანსური დახმარების გაწევასთან დაკავშირებული გარკვეული ინფორმაციის „სააგენტოსათვის“ მიწოდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელსაც „სამინისტრო“ უგზავნის „სააგენტოს“, უნდა მოიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) პირადი ნომერი;

დ) ფინანსური დახმარების შესაბამისი თვე;

ე) „მწვრთნელის“ მიერ ხელზე აღებული ფინანსური დახმარების ოდენობა.

მუხლი 2. ინფორმაციის მიწოდების პროცედურა და მხარეთა კომუნიკაცია

1. მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე „მხარეები“ ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

2. ამ მემორანდუმის პირველი მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას, „სამინისტრო“ „სააგენტოს“ უგზავნის „მწვრთნელისთვის“ ფინანსური დახმარების ჩარიცხვიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, Microsoft Excel - ის ფორმატში, პირველი მუხლის მე-2 პუნქტში გათვალისწინებული მონაცემების ამსახველი ველების ჩვენებით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. „სააგენტო“ ვალდებულია:

ა) „სამინისტროსაგან“ მიღებული ინფორმაცია დაამუშაოს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნისთვის და იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია ამ კანონიერი მიზნის მისაღწევად;

ბ) არ დაუშვას ,,სამინისტროსაგან“ მიღებულ ინფორმაციაზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა). მიღებული ინფორმაციის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა და ა.შ., დაუშვებელია როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ. ამ პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვიდან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის შესაბამისი დამუშავება გამომდინარეობს და/ან დაშვებულია მოქმედი კანონმდებლობით;

გ) გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

2. „სააგენტო“ უფლებამოსილია:

ა) მოითხოვოს „სამინისტროსგან“ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა;

ბ) მემორანდუმის პირველი მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია შეუფერხებლად მიიღოს ამავე მემორანდუმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით.

3. ,,სამინისტრო“ ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად მიაწოდოს „სააგენტოს“ მემორანდუმის პირველი მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია ამავე მემორანდუმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

ბ) წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული ინფორმაციის მიწოდებაზე წინასწარ ცნობილი შეფერხებ(ებ)ის ან ტექნიკური ცვლილებ(ებ)ის თაობაზე, აცნობოს „სააგენტოს“, არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე;

გ) აცნობოს „სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმის პირობებზე, ცვლიან მემორანდუმის საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. **პასუხისმგებლობა** „სააგენტოსთვის“ მემორანდუმის ფარგლები მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე ეკისრება „სამინისტროს“.

5. **,,სამინისტრო“ უფლებამოსილია,** მოითხოვოს „სააგენტოსგან“ წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

1. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ამ მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 5. ფორსმაჟორი

1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 6. მემორანდუმის მოქმედების ვადა, შეწყვეტა და მასში ცვლილებები

1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 31 მაისის ჩათვლით.**

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე რომელიმე მხარე წერილობით არ გამოთქვამს მემორანდუმის შეწყვეტის სურვილს, წინამდებარე მემორანდუმი ითვლება გაგრძელებულად მომდევნო 1 (ერთი) კალენდარული წლით. ამ პუნქტით გათვალისწინებული პროცედურა (პირობა) მოქმედებს ყოველი მომდევნო 1 (ერთი) წლიანი მოქმედების ვადის ამოწურვამდე.

3. წინამდებარე მემორანდუმი შესაძლებელია შეწყდეს ურთიერთშეთანხმებით. შეწყვეტა შესაძლებელია ასევე, მემორანდუმის ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, უპირობოდ, ნებისმიერ დროს, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე, „მხარისთვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. აღნიშნული ვადის გასვლისთანავე მემორანდუმი ითვლება შეწყვეტილად;

4. ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების გარდა, მემორანდუმი ავტომატურ რეჟიმში ჩაითვლება შეწყვეტილად, თუ გაუქმდა და/ან ძალადაკარგულად გამოცხადდა და/ან მოქმედება შეწყვიტა იმ ნორმატიულმა აქტმა (ან მისი ნაწილი, მუხლი,

პუნქტი), რომლის შესასრულებლადაც დაიდო წინამდებარე მემორანდუმი. ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ გაუქმებული და/ან ძალადაკარგულად გამოცხადებული და/ან მოქმედება შეწყვეტილი ნორმატიული აქტის (ან მისი ნაწილის, მუხლს, პუნქტის) ნაცვლად, უფლებამოსილი ორგანოს დ ა/ან პირის მი ერ, მიღებულ (გამოცემულ) იქნა ახალი ნორმატიული აქტი რომელიც ცვლის მას;

5. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა ერთობლივი წერილობითი შეთანხმებით; მემორანდუმის მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ მემორანდუმის მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი;

6. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

7. მემორანდუმის რომელიმე პუნქტის/ქვეპუნქტის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას, თუ იგი დაიდებოდა ასეთი ბათილი პუნქტის/ქვეპუნქტის გარეშეც.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ. N144 საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 49ა საიდენტიფიკაციო კოდი: 204861916
კობა სონღულაშვილი დირექტორის მოადგილე	**შალვა გოგოლაძე** მინისტრის მოადგილე